ეს უკვე სერიოზული განაცხადია

თბილისის. ‘‘ლოკომოტივის’’ სტადიონი. 16 აპრილი.

‘‘დინამო’’ (თბილისი) - ‘‘სპარტაკი’’ (მოსკოვი) - 2:0 (2:0).

‘‘დინამო’’: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

‘‘სპარტაკი’’: კავაზაშვილი, ლოგოფეტრი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, როჟკოვი, პაპაევი (ოლშანსკი), ჰუსაინოვი, ოსიანინი, ამბარცუმიანი, ევლენტიევი (სილაგაძე).

მსაჯი: მ. პინსკი (ხარკოვი).

საინტერესოა ერთი ასეთი დეტალი: სპარტაკელთა ხელმძღვანელობამ წინა ორ მატჩში ტაშკენტსა და ალმა-ატაში გამოიყვანა ზუსტად ის შემადგენლობა, როგორიც თბილისში, ამასთან, არც ‘‘პახტაკორთან’’ და არც ‘‘კაირატთან’’ მას არავინ შეუცვლია. ეტყობა, მწვრთნელებს ეს შემადგენლობა ყველაზე უფრო ხელსაყრელ და ძლიერ ვარიანტად მიაჩნიათ.

თბილისში კი ნ. სიმონიანმა შეცვლის მთელი ლიმიტი ამოწურა და ორჯერ გამოიყვანა მინდორზე ახალი მოთამაშე. რასაკვირველია, ეს ‘‘კარგი ცხოვრებით’’ არ იყო ნაკარნახევი და არც მწვრთნელთა ექსპერიმენტული ძიების ნაყოფს წარმოადგენდა. უბრალოდ: სპარტაკელებს გაუჭირდათ, ძალზე გაუჭირდათ და ამიტომ სცადეს ყველაფერი, რათა ეხსნათ ის ‘‘ოქროს ქულები’’, რომლებიც აუცილებლად შერჩება გათამაშების ცხრილს მეორე ეტაპისთვის, როცა ბრძოლა პირველ შვიდეულებს შორის გაგრძელდება ჩემპიონის წოდებისთვის.

მოსკოველთა განსაცდელი პირველივე წუთებიდან დაიწყო. სულ ცოტა ხანი იყო გასული თამაშის დაწყებიდან და ხურცილავამ 3 ‘‘სეანსის’’ ჩატარება მოასწრო მოწინააღმდეგის კართან, ამასთან, მისი მესამე დარტყმა ოდნავ ასცდა კარს, თორემ კავაზაშვილი ამ ბურთის ამღები არ იყო. ამას გარდა, სტუმრების მეკარეს სახიფათო ბრძოლაში ჩაბმა მოუხდა გავაშელთან და ნოდიასთან.

მაგრამ ‘‘სპარტაკი’’ გამოცდილი გუნდია. მან წამსვე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, მიხვდა, რომ ტემპში და აზარტში აყოლა კარგს არაფერს მოუტანდა, ვინაიდან დინამოელები ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილი, და ამიტომ მაშინვე ‘‘გაყინა’’ თამაში. სპარტაკელები თავდაპირველად არც ცდილობდნენ შეტევის შექმნას. ისინი შუა მინდორში მოქმედებდნენ ხშირი, მოკლე გადაცემებით, უმთავრესად დიაგონალზე ან მინდვრის სიგანეზე, იქ, სადაც ხიფათი არ იქმნება, გამწვავებები არაა და ამიტომ მეტოქეც არ იჩენს მაინცდამაინც დიდ თავგანწირვას კომბინაციათა ჩაშლისთვის ბრძოლაში.

გარკვეული ხნით ეს მიზანი მიღწეულ იქნა. დინამოელები თითქოს აჰყვნენ კიდეც ‘‘სპარტაკს’’ თამაშის ამ პოზიციურ მანერაში და მინდორზე თითქოს ‘‘საყოველთაო მშვიდობა’’ დამყარდა, მაგრამ უცებ, მე-15 წუთზე, თბილისელთა ნახევარდაცვამ მოულოდნელი, სწრაფი იერიში წამოიწყო. ასათიანმა კარგად შეარჩია მომენტი გარღვევისთვის და სწრაფი რეიდი შეასრულა ისე, რომ ვერავინ მოასწრო მისთვის ბურთის წართმევა. მხოლოდ მაშინ, როცა ასათიანი უკვე საჯარიმო მოედანში იყო შესული, მას უკნიდან წამოეწია პაპაევი. ამ მოგვიანებულ

გამოდევნებას არ შეეძლო ხელი შეეშალა თბილისელისთვის - დაერტყა კარში და პაპაევმა მხოლოდ ის მოასწრო, რომ ფეხი გამოსდო მეტოქეს. პენალტი. დარტყმა ზუსტი, ცრუ მოძრაობით შეასრულა ილიადიმ, რომელმაც მეკარის მოძრაობის საპირდაპირო მხარეს გაგზავნა ბურთი - 1:0.

სიტყვამ მოიტანა და ილიადიზე უნდა ვთქვათ, რომ იგი ახლა საუკეთესო ფორმაშია. პირველი შესამჩნევი ისაა, რომ იმატა მისმა სისწრაფემ, გაბედულებამ, აქტივობამ. ილიადი გადამწყვეტ სიტუაციებში თამამად იღებს თავის თავზე საიერიშო კომბინაციების წარმოწყებას და დამთავრებასაც, მუდამ უჭირავს თავისი ზონა კოლექტიური დაცვისას. იგი კარგ სამსახურს უწევს გუნდს.

გაშვებული გოლის შემდეგ მოსკოველებმა მოუმატეს ტემპს, აქცენტი თავდასხმაზე გადაიტანეს და საკმაოდ ხანგრძლივი დროით გადასახლდნენ თბილისელთა ნახევარზე. მათ ხშირად გაჰყავდათ წინ არა მარტო ნახევარმცველები, არამედ კისელიოვიც. იყო რამდენიმე მომენტი, როცა "დინამოს" საჯარიმო მოედანზე რამდენიმე სერიოზული მომენტი შეიქმნა და ჩვენი გუნდი მთელი ძალით იყო ჩაბმული ამ უსიამოვნებათა ნეიტრალიზაციისთვის.

აი, ამ კრიტიკულ ვითარებაში მოსკოველთა ერთ-ერთმა მოთამაშემ დაუშვა უხეში ტექნიკური შეცდომა, რომელმაც გუნდს თითქმის არ დაუტოვა შანსი წაგებული მატჩის ხსნაში. ეს იყო როუკოვი. მან კარიდან საკმაო მოშორებით დაკარგა ბურთი, რომელიც მას უკვე მიღებული ჰქონდა და წინ უნდა გაეგზავნა. შემდგომი ამბები წამის მეათედში მოხდა: ნოდიამ შესანიშნავი ინტუიცია გამოიჩინა, მაშინვე "მოჰპარა" ბურთი როუკოვს, სწრაფად გავიდა წინ და კავაზაშვილთან პირისპირ დარჩენილმა შორეულ კუთხეში ოსტატურად დაარტყა - 2:0.

ეს თითქმის გამარჯვება იყო! თითქმის იმიტომ ვამბობთ, რომ სპარტაკელებს არ ჩაუქნევიათ ხელი ამ თამაშზე. მათ დაუყოვნებლივ შეცვალეს ევლენტიევი სილაგაძით და ეს უკანასკნელი მაშინვე აქტიურად ჩაება თამაშში. მისი რამდენიმე ძალზე სახიფათო გარღვევა დამთავრდა ზუსტი გადაცემებით ცენტრში, სადაც ზედიზედ შემოდიოდნენ ოსიანინი, კისელიოვი, ჰუსეინოვი და ამ ბურთების მოგერიებისას დიდი შრომის გადატანა მოუხდათ დინამოელთა მცველებს და ურუშაძეს. იყო მომენტი, როცა ჩვენი გუნდის კარის ხსნა თითქოს შეუძლებელი იყო, მაგრამ ურუშაძემ შეძლო უძნელესი ბურთის აღება.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა იმავე ტაქტიკას მიმართეს, რასაც ადრე სპარტაკელებმა. მათ დააცხრეს ტემპი, გაამაგრეს დაცვითი ხაზები, ბურთს დიდხანს აჩერებდნენ მინდვრის შუაში და ბოლო წუთები მიმდინარეობდა ისე, რომ მოსკოველები უკვე დარწმუნებული იყვნენ: წაგებულ თამაშს აღარაფერი უშველიდა, "დინამო" ხელიდან აღარ გაუშვებდა გამარჯვებას.

7 ქულა 8 შესაძლებლიდან! ეს თბილისის "დინამოს" სერიოზული განაცხადია წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში. ახლა ყოველ მატჩს, ყოველ ქულას თვალისჩინივით სჭირდება გაფრთხილება.

ბ. ქორქია.

"ლელო", 20 აპრილი, 1969 წ.